



სალიტერატურო და სამეცნიერო ნახატიანი გაზეთი, გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 5.

იანვარი 22, 1895 წ.

№ 5.

4781



ერეკლე მეორე (იხ. გვ. 14)

**შინაარსი:** შესანიშნავი მოვლენა.—რამ მომარჩინა, ლექსი აეკისა.—სხვა-და-სხვა ამბები.—ოლითს ციხეს, ლექსი დეკუ მგერელისა.—საყურადღებო ამბები.—„კვლის“ ორი წლის ნადეწი გ. წერეთლისა.—შენაშენები.—სამეგრელოს ვიზარება იპო წეთელისა.—ქართლ-კახეთის შეერთების ისტორიიდან ა. გარსევანაშვილისა.—ჩვენი სახიობა მარჯველისა.

### შესანიშნავი მოვლენა

**ენი** არს 17 საზამთრო სასახლეში დიდ ნიკოლოზის დარბაზში წარუდგენ ხელმწიფე იმპერატორის ამორჩეულნი ორმოცდაცხრა თავად-აზნაურთა საზოგადოებიდან, ას-ოცდა-თერთმეტ ქალაქიდან, ოცდა-ექვს ერობიდან, ოცდა-ორი სამხედრო წრიდან და მიულოცეს ქორწინების დღესასწაული. ახალგაზრდა იმპერატორი გამობძანდა დარბაზში, დადგა შუა ალაგს და უმადლესათ წარმოთქვა შემდეგი:

მოსწრულა გარ, რომ ყოველ წოდებიდან დღეს აქ შეგრებილხართ, რათა განმიცხადოთ ერთგულქვეყნდომობითი გრძნობა, რომელიც მგელთგანვე დღეის ყოველი რუსის გულში; მაგრამ ესეც ვიცი, რომ ამ უკანასკნელს დროს ბევრგან ერთაბით საღისის ამორჩეულებს განუცხადებიათ უგნური ოცნებები, ვითომც შინაურს გამეუბნაში საჭროა იყოს, რომ ერთაბით წარმოამდგენლუბებ მონაწილეობა მიიღონ. იცოდეს ყველამ, რომ

მე, რომელიც უოკალს ჩემს ღონეს და ძლას მოგასმარებს სიკეთეს, დავიცვო თვით-მპყრობელობას კეოღენ მღერით და განუდრეკლათ, როგორც მას იცავდა დუაწყარი განსვენებული მამაკობა“.

ფრიად დიდ-მნიშვნელოვანია ხელმწიფე იმპერატორის ასეთი ბძანება. ამიერიდან ჩვენ უნდა ვიყოთ დარწმუნებული, რომ ხელმწიფე იმპერატორი ძალისამებრ თვითმპყრობელობისა შეუდგება თავის ქვეშევრდომების კეთილდღეობისათვის მზრუნველობას და, რომეკეთილათ განამართლოს თავისი გულისწადილი, მან კიდევ იწება მოწოდება ჭურნალ-გაზეთებისა, რომელთა მწერლების მდგომარეობა მიიღო მხედველობაში და კეთილ-ინება მათი ნივთიერი არსებობის გაუმჯობესება. ამ განზრახვით მან უკვე გამოსცა უმაღლესი უქაზი ყოველწობებით ორმოც-დაათი-ათასი მანეთი ვადიდვას დასაჯილოდობლათ იმ მწერალთა და ჭურნალ-მეგაზეთეთა, რომელნიც თავისი სამსახური დეაწლს გაუწივენ თვით-მპყრობელობის მზრუნველობას. მიუცილებლათ ამ გარემოებაში ჩვენ უნდა ვხედავდეთ ერთი შესანიშნავი ნაბიჯის წინ გადადგმას, რადგან უფრო

განათლებულ ქვეყნებში გვირგვინისანი ხელმწიფენი დიდ მნიშვნელობას აძლევენ ჭურნალ-გაზეთების გველინას ხალხზე და დიდათ აუასებენ მათს ერთგულ-ქვეშევრდომობის სამსახურს სამეფო ტახტის გასამაგებლათ. ჩვენ უნდა ვიგულისმოდეთ, რომ ამიერიდან რუსეთშიაც დადგება ის ხანა, რომ მთავრობას ყოველი თავის კეთილმოსახურებისა და განკარგულების მოსახდენათ ზოგი ჭურნალ-გაზეთები უფრო ერთგულათ მზარს დაუქერენ, რადგან ამ ჭურნალ-გაზეთების მწერლებს ეცოდნებათ, რომ უმაღლესი მთავრობა მათს სამსახურს არ დაავდებს და შესაფერათ მათის მოღვაწეობისა კიდევ დაავდობს. ჩვენ მხოლოთ დავერჩენია ვისურვოთ, რომ ჭურნალ-გაზეთების მწერლებმა, როგორც დარაჯთა და ფხიზელთა თეაღ-ყურის მადგენებელთა ერის და ხალხის საკურობებისა, არ უმტყუნონ თავის დანიშნულებას, არ დაუმადონ უმაღლეს მთავრობას ნამდვილი მოთხოვნისგა ხალხისა და ყოველთვის ცდილობდენ ერის გულში ჩაახედონ ხოლმე ხელმწიფე-იმპერატორი.

**რამ მომარჩინა?**

და სხვები კი ბანს აძლევდენ, თან გრძნობით და გულის ძვრით.



ურანში მყოფს, ცოცხალ-მკედარსა, ხმა ჩამესმა ციური რამ: ეგრ გიმეტებ სასიკვდილოთ! ჯერ არცაა.. ეგრ გაგწირავ!!

თან ჩამოჰყვა, როგორც კიბეს, სამკურნალო იმ ხმას ძალი; ვისუნთქე და შეეფართხალი, გაუახილე სუსტათ თვალთ.

ნათლის შუქმა თვალთ მომპრა, მომეჩვენა რაღაც ბუნდათ... თითქმის დასი ანგელოსთა მებეგოდა მე გარს გუნდათ.

ერთს ეკირა ჩანვი ხელში სულს ატკობდა ქღერით... მღერით

ეთქვი: „სადა ვარ? სად მოვსულვარ? ევლარა ვცნობ მე ამ სოფელს!.. ეს ყოფილა, რომ იტყვიან: ზეცასა და სასუფეველს!..“

ეს სიმღერაც მაღამოა წრფელი გულის, წმინდა სულის!.. მშობელი და თვით ნაშობი ზეციური სიყვარულის!“

ეს ეივრძენ და მისუსტებულს სამკურნალოთ მიმიძინა... ეფუცავ, ღმერთსა მხოლოთ ამან!.. ამა, მხოლოთ მომარჩინა!..

აკო

**სხვა-და-სხვა ამბები**



ამოცა უმაღლესი უქაზი დასაჯილოდობლათ შეცნიერებისა, სიტყვიერების მოქერეთა და მწერალთა, რომელნიც მოღვაწეობენ ჭურნალ-გაზეთებში. ამათ მდგომარეობის შესამსუბუქებ-

ლათ და წასახალისებლათ ხელმწიფე იმპერატორმა დამტკიცა ყოველი წელს ორმოც-და-ათათასი მანეთი გდიდვას სახელმწიფო შემოსავლიდან და ეს ფული სამეცნიერო აკადემიის განკარგულებას ქვეშ იყოს, რომ ამ ფულიდან დაენიშნოსა გაკორებულ ლიტერატორებს, შეცნიერებს, მათ ცოლ-შვილს შე-

საწევარი და რომელიც მთავანი არ იღებდეს პენსიას სხვა დაწესებულებათაჲს, აგრეთვე პენსიაც დაენიშნოს ხანგრძლივი მოღვაწეობისათვის, ხოლო ხელსამძღვანელო წეს-რიგი, თუ რა წიარათ განაწილდეს და სახელდობთ ვის რამდენი შემწეობა დაენიშნოს, უნდა შემემუშაონ ფინანსისა და საგრო განათლების მინისტრებმა სამეცნიერო აკადემიის თემგადამარესთან ერთად, ასეთმა განკარგულებამ ხელმწიფე იმპერატორისამ ყურნალ-გაზეთების მოღვაწეთ ღირსება აღამაღლა და აცნობა სახელმწიფო მოხელეებს და უფროსებს, რომ ხელმწიფე იმპერატორს თავის მოხელეებზე ნაკლები ყურადღება არ ექნება მიქცეული იმ მწერლებზე, რომელნიც დადებიან დარაჯათ მთავრობის მზრუნველობისათვის. ძალა ყურნალ-გაზეთებისა მთავრობის შესაწვეწველათ პირველათ ღირსეულათ დაავასეს ნაპოლონ მესამემ და ბისმარკმა: ისინი ცდილობდენ მათი შემწეობით თავისი პროგრამა და განზრახულებანი გაეტარებინათ ერში. ამის გულისთვის განსაკუთრებით იღეწა ბისმარკმა, რომელმაც დაარსა გერმანიაში დიდ-ძალი თანხა ყურნალ-გაზეთების მწერლების დასაჯილდოებლათ და უწოდა ამ თანხას Reptilien fond.

\*\*\*

გამოჩენილმა საფრანგეთის მკურნალმა დოქტორმა რომ გამოუგზავნა თფილისის ქალაქს საჩუქრათ ორასი გრამი ხუნავის ასაქრელო წამალი. ეს წამალი ქალაქმა გადასცა თავის ექიმების რჩევას, რომ დაჭირებულს დროს მიაწვდინონ აეთმოყუდებს. ამის გამო საექიმო რჩევის ზედამხედველი ექიმი სტეფანოვი უცხადებს საყოველთაოთ ექიმებს, რომ თუ ვინმე ღარიბი გახდა ავით სუნავითო, ეთხოვ, მოიქცეს ჩემთან და მე უსასყიდლოთ მიეცემ ხუნავის ასაქრელ წამალსო. ვისაც დაჭირდეს ეს წამალი, უნდა მიმართოს თხ-ავნით საქალაქო სამკურნალოს.

\*\*\*

კახეთის რკინის გზა მომეტებულ ნაწილათ უნდა გაიყვანონ ალაზნის ხეობის პირათ, ფულოანი კაცები ახლავე შეუდგენ ამანაგობის გამართვას, რომ ალაზნის პირის ძვირფასი ხე-ტყე გამოზადონ გასაყოფათ.

\*\*\*

სახელმწიფო ბანკი აძლევს სესხათ საქონლის გიროაში ყველას მისი ღირებულთ ფასის ორ მესამედს და სამ მეთხუდესაც.

\*\*\*

ამ თვის თექვსმეტი რიცხვიდან გუბერნატორ-

ბი იკრიბებიან ტფილისში, რომ საერთოთ მოილაპარაკონ და განსაჯონ თავის განამგებმო ხალხის სსკრიობანი. ძალიან სასურველია, რომ ქუთაისის გუბერნატორმა წარუდგინოს უმაღლეს მთავრობას სურვილი სამეგრელოს ხალხისა, რომელსაც არა ერთხელ უთხოვინია თვით გუბერნატორისთვის, რომ იქ პირველ დაწვებით სამინისტროს შკოლებში თავის სამშობლო ქართულ ენაზე ასწავლონ ყმაწვილებს. ღღეს ქუთაისის სახალხო შკოლის დირექტორმა სულ აღუქრძალა სამეგრელოს შკოლებში ქართულათ სწავლება და ამისგამო სამეგრელოს ხალხი ძალიან უკმაყოფილოთ არის.

\*\*\*

უმაღლესათ გამოიკა ბრძანება სახელმწიფო ხაზნიდან მიეცეს წმ. სინოდს შეიდასიათსი მან. სამრეელო შკოლების შესაწვეწველათ.

\*\*\*

თფილისის სამოსამართლო პალატის თემგდომარემ გამოსცა ბძანება, რომ აღარავის არ შეუძლია იარალ-ჩამოკიდებული შევიდეს სასამართლო პალატაში და ობლქის სასამართლოებში. ვისაც ჰსურს იქ საქმისთვის შესვლა, იარალ უნდა ჩამოისხნას და შევიცარს უნდა მიაბაროს.

\*\*\*

სამკურნალო დეპარტამენტმა ვადაწვევითა გაიხსნას სავათმოყოფები რაქის მზრავში ს. ამბროლაურს, სენაკის მზრავში ს. ნოლაღეეს, სოზუმის მზრავში ს. დრანდას და ბათუმის მზრავში ს. ქედას.

\*\*\*

ბორჯომში რომ ორკალასიანი სასწავლებელია, ის უნდა გადააკეთონ სამოხელო და სახელოსნო სასწავლებლათ, საიდანაც უნდა გამოვიდენ ყოველწიარო ხელობის კაცები. დღიდ მთავარი მიზალი ნიკოლოზის ძეს უნებებია თავის ბორჯომის მამულის შემოსავლიდან წელიწადში ოთხასი თუმანი აძლიოს შესაწვევათ ამ სახელოსნო სასწავლებელს და ორი შენობაც დაუთმია.

\*\*\*

გორში დაუქვითათ ყველა სამიკიტროები, რომელნიც ყოფილან ორმოც საწენზე ახლო ეკლესიებთან. ამისგამო მიკიტნებს შეუქრავთ პირი და სანივარი ვაუგზავნიათ ტფილისის გუბერნატორთან. ჯერ არეინ იცხს, როგორ გათავდებდა ეს სანივარი.

\*\*\*

ფოთში ამოურჩევიათ ქალაქის წვერათ თ. დ. დადიანს გარდა ა. დ. ხოშტარია. იმავე სხდომაზე

გადაუწყვეტათ მთავრობისგან ზოძებული 49,000 მანეთით ფოთის ქალაქის ეალი ვაისტუმრონ.

\* \*

ერთ ნემცეს სახელათ რენგარტენს განუზარახანს დედამიწის ვაკსშემოვლა ქვეითათ. ის გამოსულა რიგის ქალაქიდან და მოსულა ქუთაისს, იქიდან ზეკარის გზით ბორჯომს; იქიდან სპარსეთს ვაემგზავრება და მერე გაუტევენ ინდოეთისკენ. ჩვენი კავკასიის ქვეყნებში უნდა გაიაროს შემდეგი ალაგები: ბორჯომიდან წამოვა ხაშურს, გაივლის გორში, მცხეთაში, თფილისში, ერევანში, ჯულფაში და გადავიდეს სპარსეთის ქვეყნებს: მეშედს, თაერისს და ტეგერანს. რენგარტენს ქუთაისამდი სავი ათასი ვერსი კიდევაც გამოუვლია.

\* \*

ვინ არ იცის, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს, რკინის გზაზე სამეურნეო წარმოების წასაღებ ფასის დაკლებას. აი, ამის გულისთვის ფინანსისა და სამეურნეო მინისტრები ბევრს ცდილობენ. ამ ცოტა ხანში სხვათაშორის მთელი რესეთიდან შეკრებილან ფქვილის გამყიდველთა წარმომადგენელნი პეტერბურგში, რომ მოისაზრონ და გადაჭრილი გადასატანი ფასი ყოველნაირ ფქვილისა წარუდგინონ ფინანსის მინისტრს და იმის მიხედვით რკინის გზის ფასიც დასწიონ ფქვილის წასაღებ-წამოსაღებათ.

\* \*

თფილისის ფოსტა და ტელეგრაფის გამკეობა ფიქრობს, რომ ყველა ფოსტის დაწესებულებანი სულ ერთ შენობაში მოათავსონ და ამ განზრახვით ადვენენ გეგმას ახალი საფოსტო შენობისას, რომელიც იქნება ძალიან ვრცელი და დიდშენი.

\* \*

კარგა ხანია, რაც ტენზიკი ტიხანოვი გაგზავნილია გამოსადიებლათ, თუ რომელი მიმართულებით უფრო ადვილი და იაფი იქნება რკინის გზის გაყვანა ნოვოროსისიკიდან მოკიდებული სენაკამდის. ამ კამათ ტენზიკი ტიხანოვი სუბჟუს იქით გადაღმა-კავკასიის მხრებისკენ მუშაობს რკინის გზის გაყვანის თაობის შესახებ.

\* \*

უმაღლესმა კავკასიის მთავრობამ აცნობა ლუბერნატორებს, ახლავე შეუდექით იმის მოსაზრებას, როგორი ვადსახადი უნდა დაეადეთ კავკასიის მცხოვრებლებს, ან როგორ უნდა განაწილდეს ეს ვადსახადი მათზე 1897 წლიდან მოკიდებული.

\* \*

მადლობა ღმერთს, ათი წლის მოლოდინს შემდეგ ზოგვიერთ ჩვენებურ მუშებს და ხელოსნებს ვშეველებათ თავის ნაშრომ-ნაღვანი ფულდების ამოკება ინტენერ პუზგროფისსაგან, რომელიც სურამის ქელზე რკინის გზის ტრატს აკეთებდა გვიარბის გადაღმა-გადმოღმით. მთავრობას გადაუწყვეტია ხაზინაში გვიართ შეტანალი მის მიერ ორასი ათასი მანეთი დაუპირობა და მისგან დაუქმავიფილებელს მუშებს და გზის მოხელეებს გაუყოს. ამზობენ, ინტენერ ბეზგროფისსაგან ყველა შეწუხებული მუშები და გზის მოხელეები მიიღებნენ სრულს კმაყოფილებას. ნეტათუ ბევრია ამ საწყლებში კიდევ ცოცხალი, რომ ბოლოს მაინც ეღირსოს თავის ნაოფლარის მიღება?

\* \*

მინისტრების რჩევას გადაუწყვეტია კავკასიაში დააარსოს უმაღლესი სატენიკო სასწავლებელი სახელათ პოლიტეხნიკუმში.

\* \*

იმედი აქეთ, კავკასიის საზოო ინტენერთა უწყება და დაწესებულება ახალ წეს-რიგისამებრ მალე გადაკეთდეს.

\* \*

რკინის გზის მოსამსახურეებისათვის, როგორც ვიციით, სავენსიო თანხა დაარსდა. ამის გულისთვის ყოველმა რკინის გზის მოსამსახურემ დიღმა და პატრამ უნდა მიანაწილონ მიიღოს ამ თანხის გადიღებაში და ამისათვის თითოეულს მოსამსახურეს უნდა გამოერიცხოს რამდენიმე ცოტაოდენი ფული. კავკასიის რკინის გზის მოსამსახურეებს გამოეცხადთ ეს ამბავი და ვინც უარს იტყვის სავენსიო თანხის შედგენის მონაწილეობაზე, იმას შტატის მოსამსახურეთა სიიდან გამოერიცხენ და დლიურ მუშათ შერაცხვენ რკინის გზაზე.

\* \*

თავად ზაქარია გიორგის ძეს ერისთავს გადაუწყვეტია სამი სტიპენდია დაარსოს ქართველ სტუდენტებისათვის, სამივე ოდესი უნივერსიტეტში.

სტიპენდია უნდა დაენიშნოს ერთი მათემატიკის ფოკულტეტზე, მეორე ისტორიკო-ფილოლოგიურსა და მესამე მომავალ სამკურნალო ფოკულტეტზე მოსწავლეებს. ერთი სტიპენდია იქნება თ. გ. რ. ერისთვისა, მეორე კენიანა ან. იე. ერისთვისა და მესამე თვითონ სტიპენდიის დამარსებელის სახელობაზე. ამ საგანზე თ. ზ. რ. ერისთავს კიდევ გაუმართავს მიწერ-მოწერა პროფ. პეტრიაშვილთან.

\* \*

ერთი შესანიშნავი საქმე გადაწყვეტია ამ დღებში სენატმა და ასეთი გადაწყვეტილება დიდი სა-

ნუგეშო რამ არის ჩენი ხალხას საყურადღებოთ. ეს გადაწყვეტილება გეიმტიკებს, რომ უმაღლეს მთავრობას შეუძლია მფარველობა გაუწიოს ხალხს იმ ძალმოძრეობის წინააღმდეგ, რომელსაც იჩენს ხან-და ხან ადგილობრივი მთავრობა ყერძო პირის, ან მთელი საზოგადოების და ერის უფლებების დარღვევისათვის. ასეთი მოკლენა გვაგონებს ჩვენ, რომ უკეთუ ადგილობრივი მთავრობა უსამართლო შეეხზო ჩვენს რომელსავე არსებითს უფლებას, მაშინ შეგვიძლია ჩვენ მიემართოთ ან უმაღლეს მთავრობას, ან უმაღლეს სამართალს და ისინი არ დაანაგერინებენ ჩვენს თავს უსამართლოთ არავის. მხოლოდ საქირობა ჩვენ გულმხურვალოთ და მომჭირნით მოეციოდით ჩვენს საქმეს. ამ შემთხვევაში დროა, გამოიფიხოლოს ჩვენმა საზოგადოების წარმომადგენლებმა, გუბერნიის და ერობის წინამძღოლებმა, რომ ყოველს ასეთ შემთხვევაში შუამავლობა გაგვიწიონ უმაღლეს მთავრობასთან. ჩენი უბედურება ის არის, რომ ჩენი ამორჩეულები, განსაკუთრებით თავდაზნაურობის წარმომადგენელნი არ შედიან ჩვენს გაჭირვებაში, ან დაუდევრობის გამო და ან უტკიდინარობის გამო. აი, საქმე რაშია: დაღისტანის მაზრის კიურნიის საზოგადოების სოფლის გავცეს მცხოვრებლებს თავის მამულებში აღმოუჩნდათ

ვერცხლის წყლის მადანი. ამ სოფლის საზოგადოებაში გასცა კანტრატიტი ფულიან კაცებზე ეს მადანი საწარმოებლათ, რომ იქიდან შემოსავალი კანტრატიის ძალით მიცემოდ გააცეს სოფლებს. კავკასიის მთავრობამ ბძანება გასცა, რომ ის მადანი უფლება არა აქეთო. ჩამოართვა და სახაზინოთ შერიცხა ამ მადნის შემოსავალი. გააცეს სოფლებზემა უჩივლეს სენატში კავკასიის მთავრობას უსამართლოთ მადნის ჩამორთმევისათვის. ახლა სენატს მართლაც უკანონოთ უტენია კავკასიის მთავრობის ძალმოძრეობა და ვერცხლის წყლის მადანი ისევ გააცეს სოფლებებისათვის დაუსაკუთრებია. რამდენია ამისთანა საქმეები ჩვენ ქვეყანაში მომხდარი, რომ ზოგ მფლობელებს ადგილ-მამული წართმეოდეს, ზოგ მაზრებში სახალხო პირველდაწყებითი სკოლების საქმე ურიგოთ დაწყებულყოოს და მით ყმაწვილებს სრულიათ აკრძალვოდეს სამშობლო ენაზე სწავლება, მაშინ როდესაც უმაღლესი მთავრობა კი სამშობლო ენაზე ავადეს პირველდაწყებითს სკოლებში სწავლებას. ამა, თუ უფიქრნით ან ჩვეუ მარშლებს, ან სხვა მაზრების და სოფლების წარმომადგენლებს, რომ უმაღლესი მთავრობისათვის შეეტყობინებოის ასეთი უწესო მოქმედება ადგილობრივი მთავრობისა.

ოლითისის ყიხეს.



ით მგლოვიარე მიჯნურსა იზიდავს სატრფოს სამარე, რომ მოგონებით წარსულის დაიტბოს აწმყო მან მწარე.

აგრეთვე აქ გადმოტყუარცნიოს, მოკლებულს მშობელ მხარესა, ძეგლო ძველ საქართველოსავე, იზიდავ სულს მწუხარესა!  
როს უტხოთ შორის, მართათ მყოფს, გულს სველ შემომავრება, რომ, მცირედ არის მაინცა, მიეცე საბრალო თავს შეება,

მოგზაივარ... შემს ნანგრეებზე

ვისევენ დაღონებულო და დროთ სივრცეში მიმოფრენ, ოცნებით ვატყებულო!

ვიგონებ იმ დროს, როდესაც შენ იდექ მტკიცე, ძლიერი და შენში მედგრათ ხედებოდა მოსულ მტერს ქართველი ერი;

როდესაც შენს მიდამოში სასიამოვნოა ქართული ისმოდა მხოლოთ ყოველგან...

და შორს, შორს ძვირფას მამულში მიმოფრენს ეს მოგონება და ყოველისფერს ეფიქვებ, სანამ არ ჰქრება ოცნება...

1894 წ.

დუშე მებრელო

საყურადღებო ამბები



ფსახეთიდან. აფხაზეთის თავისი ისტორიულ-არხეოლოგიული ნაშთებით საქართველოს სხვა კუთხეებს არ ჩამოუარდება. მართლაც განსაკუთრებულია სიმრავლე ნასაყდრეთა, კიხე-გალაღან-

თა და ნანგრევთა, რომლებსაც ხედავს კაცი აფხაზეთში: ფებს ისე ვერ გადავამო, რამოდენსავე ათს ნაბიჯს ისე ვერ გაივლით, რომ ან ერთს, ან მეორეს არ წააწყდეთ. მაგრამ ამით ჯერ თითქმის სულ არ მიკარებია მკლანე კაცის ხელი. წარწერებიან ნაშთებს უფრო ნაკლებ შეხედებით, თუმცა ასეთებიც მოი-

პოეზიან აქა-იქ... ეს ყოველივე აშკარათ ლაღადებს, რომ აქ ისეთ კუთხეში, სადაც ეს-ეს არის, ახლა იკლებს ფეხს ქრისტიანობა, ოდესღაც დღულდა ქრისტიანობრივი ცხოვრება, გაისმოდა ქართული წირვა-ლოცვა და ქადაგება. მაგრამ განა მარტო ეს მუნჯ-ნი მოწმენი წახსულისა მოგვიტობრობენ ამას? ხალხის მესხიერებაში დარჩენილი თქმულებანიც არა ნაკლები მნიშვნელობის მქონენი არიან ამ მხრივ. მოუყიყიან ამის საჩენებელთა მავალთვებს.

კობლას განყოფილების ს. ტუვარჩელში, სამადნო წყლების მახლობლათ, მდინ. ლალიძგის მარცხენა მხარეზე, არის დაშქინდარას მთა. ამ საკმაო მაღალ მთაზე, საიდანაც კარგათ მოჩანს სამურზაყანო-აფხაზეთი, — არის ნასაყდრევი, ანუ ნაუდბანოევი აკლდამებთითურთ. დაშქინდარას სატი მეტათ ძლიერი და პატეტევიული ყოფილა თავის დროზე. ეს იმიტოვ მტკიცეება, რომ ამ მთის ვერცხვ გველის დროს აფხაზეთი, უფრო კი მონადირეები, დღესაც შესაფერი ლოცვა-ვედრებით მიჰმართვენ სკოლმე დაშქინდარას სატს... დაშქინდარას შესახებ აფხაზეთის ზეპირ-გადმოცემა მოგვითხრობს შემდეგს:

დაშქინდარას მთაზე ძველათ იყო უდაბნო, იქ ცხოვრობდნენ მრავალი ბერები. დაშქინდარადან ჩრდილოეთით, უფრო დაბლა, მეორე სოფ. ფოქვეშში იყო აგრეთვე მეორე უდაბნო (ეს უქანასენელი შესანიშნავ ბედის ტაძრიდან შორს არ არის). ამ მონასტრების ბერებს ერთმანეთში მისელო-მოსელო ჰქონდათ, მაგრამ თავიანთ აზრებს ერთმანეთს თურმე იმიტოვ ავებნიებდნენ, რომ მონასტრებ შორის რაღაც ტელეგრაფის მართულით ჰქონიათ გაბმული. სხვათა შორის სატრაპეზთო (სადილათ) ერთმანეთის დაუკითხავათ ვერ დაჯდებოდნენ: დაშქინდარას ბერებს ფოქვეშელისაგან უნდა მიეღოთ ნებათივა პურის ჭამაზე. ერთ დღეს, როგორც ფოქვეშელებმა დაშქინდარალებს არ აცნობეს და თეთონ-კი მიირთვნეს სადილი. უფურს დაშქინდარელ ბერებმა, უფურს: შუადღეს ვადაცილდა, სამხრობამის მივიდა, საღამოც დადგა, დაღამდა კიდევ. მაგრამ ევრაზა ცნობა მიიღეს, ახლა კი მიხედნენ დაშქინდარელი ბერები, რომ ფოქვეშელ ბერებმა ისინი მოატყუეს და მათდა შეუტყუაბინებლათ თეთონ მიირთვნეს სადილი. ეწყინათ ძლიერ დაშქინდარელ ბერებს. წამოადგა მათი წინამძღვარი, აიღო დიდი „გაე-ე“ ქვა, ჯვარი გადასახა და ჩამოძახა ფოქვეშელებს: „თაზე დაგაღწით ყოველიფერისა“ დაუმიხვნა მონასტრის და გაისროლა. ქვამ ვერ მიაწია მონასტრამდე, მაგრამ ფოქვეშის მონასტრის მახლობლათ, სულ რამდენიმე ადლის სიახლოვეზე დაეარდა. ის ქვა ახლაც ძვეს იქ და, არა თუ ერთი კაცი,

რამდენიმე კაციც ვერ დაანძრეს ადგილიდან. იმას დღესაც არნა ხელის მოწაქედები, თითების ნაკე-ლი ემეი და სს. — დათავა აფხაზეთა, რომელმაც გვიამზო ეს აბავი.

3. კ —

\* \*

მართლაც, მისწავლეს მისაკათოთ კი ვათ მოუსდების, მაგრამ ფაჯა საიგის ქვეყანას არ მოუსდების.

სოფ. ზვარეთი (ზემო რაჭა). სოფ. ზვარეთის მკვიდრთ შეადგენს ოთხი კომლი თ. ერისთავები და ორმოცდა თორმეტი კომლი გლეხობა, გვართ კირვალიძეები. აგერ რამდენიმე ხანია, იმათ შუა ჩამოყარდა მტრობა და შური. დიდ გაჭირვებაში არიან საწყალი გლეხები; არ იციან რა გზას დაადგენ, ან რით უშველონ თავს. უმთავრესი მიზეზი ამათი ერთმანეთის მტრათ ვადაცილებისა, იყო შემდეგი: ამ სამი წლის წინათ თ. პ. ერ — ემა სულ უზბალო მიზეზების გამო უმისკლა უმისოვად ბედი-საკავი დაწავარული გლეხი ზეთისავრა კირვალიძე. მოულოდნელი შემთხვევით იმას სწორეთ იმ დროს მოვიღო ბოლო, როცა მესამე პირ ცოლშვილს მოვიკი-და (ორი წყება ცოლ-შვილი ციებ-ცხელებამ დაუხი-ცა). ამ სამუშხარო აზმაგმა აიძულა კირვალიძეები და შეუდგინეს სოფლის „პრიგოვორი“ პ. ე — ს, რომელიც უნდა მიერთმიათ ბ-ნი ქ — ისის გუბერნატრისათვის, მაგრამ ამ საქმემ უფრო დიდი განვითარე-ბა ჩამოავდო. თავლები სადაც წამოეწვიოდნენ გლეხებს, სცემდნენ და სიკედილს ემუქრებოდნენ. შემინებულმა გლეხებმა „პრიგოვორი“ თვითვე დახსენს. ჯერ კიდევ თავებმა ქვეშ იყო პ. ერ — ავი, რომ განიძრახა ერთი საწყალი გლეხის მოკვლა; სამჯერ რეველოვერი ეს-როლა, მაგრამ ის რაღაც განგებობა გადაარჩა.

ბორკლების ჩამდენი ამ ვაშთ ქუთათისის საყ-რობილემში ბრძანდება. ამაზე ნაკლებს აღარც სხე-ბი ჩადიან. წარსულ მარიაპოპისტეში თ. პლ. ერ — ემა დაქრა მძიმეთ მკლავში ახალგაზდა გლეხი ი. კირვალიძე. საწყალ გლეხს, როგორც ამბობენ, ხელი დაუსმავდა.

გასულ გეორგიანისთეში თ. ივ. ერ — ვი, ძმა პ — ისის, მაგრამ ზვარეთში ჩასძებული გლეხი მაქსიმე დაუშვილი რაღაც უზბალო საქმეზე შელაპარაკდნენ, ერ — ემა იძრო რეველოვერი დაგატყუელ გლეხს რამდენჯერმე ესროლა, გლეხმა შეასწრო სახლში და კარი მოუკეტა.

რეველოვერის ტყეია აყვანს მოხედა, რომელშია

ბავში იწვა, დედ-მამა წივილ-კივილით აკუნან მიცი-  
ნდენ, ეგონათ ყმაწვილი მოკლესო, ბავში საქარათ  
აქნოდან ამოიყვანეს. მალეობა ღმერთს, არა ენე-  
ბოდა რა. მავრამ თავებმა ე—მა ეს არ იკმა-  
და გლესს მორთებ მოუხტა მოსაკლავათ. მავრამ  
გლესმა წინ-და-წინ იგრძნო და საქარათ ცოლ-  
შვილიანა თავი შეაფარა მეზობლისას. ასეთი გაბ-  
ლავს საზოგადოთ დამოკიდებულება გლესსა და  
თავდაზნაურობას შუა ზემო-რაჭაში. რალა სიტყვით  
უნდა მოველოდეთ მომავალში იმ თავდა-ზნაურო-  
ბისაკან, რომელიც ხალხის მეთაურობის მაგივრათ,  
მასვე დაბრუნებია უკან ოქოქანთ ქორსავით და  
მშრომელ ხალხს ხოცავს. არ იქნება კული, რომ ჩვენი  
თავდა-ზნაურობის უპირატესობის მძებებელი პუ-  
ბლიცისტები ჩაუკვირდენ ამ ვარემოებას.

ზემო-რაჭველი

\* \*

კახეთიდან, ვინ არ იცის რამდენად ღვთის მო-  
სახე და მოყვარე იყო ჩვენი ერი? ვინ არ იცის, რა  
თავანწირულნი და უკანასკნელს წუთამდისაც კი  
არ იბრძოდნენ? ჩვენი წინაპრნი ენისა და სარწმუნ-  
ოებისათვის, რა არის ურჯულურობებამ ისე არ მოიყი-  
დოს ჩვენშიაც ფეხი, როგორც ზოგიერთს კუთხეში  
ჩვენი ქვეყნისა, მაგ. საინგილოში (უწინდელი ვა-  
რე-კახეთი) და სხვა? განა მოიპოვებდა საღმე იმოდენ-  
ნი ნაშთი ძველი ეკლესიებისა, როგორც ქართლ-  
კახეთში? განა ესენი ნათლათ არ მოწმობენ, რომ  
ჩვენი ერს არავითარი დამპირკოლებელი მიზნებში  
არ მიუღია მხედველობაში და სადაც კი მტერთაგან  
დევნილთ თავშესაფარი ადგრილ გამოუძებნათ, იქ  
უძველათ ეკლესიაც აუგიათ და ულოცნიათ, რო-  
გორც მართლ-მადიდებელთ და წმინდა მორწმუნეთ  
თავის რჯულისა, რომლისათვისაც ისე თავდაუზოგ-  
ელათ შწირადღენ სიცოცხლეს. წარსულთა დროთა  
ნაშთნი დღეს თვითონ ნათლათ ჰვალადებენ მიყრუ-  
ებულს და კაცს მიუსულელს ტყე-ღრეში.

ეკლესიებში კვირა-უქმე დღეს ძვირათ შეგე-  
დებით მლოცველს კაცსა, იქ ყოველ კვირა-უქმე  
დღეს მართო კრებული მლოდდებელი ჰვალადებს  
ეთარცა უდაბნოსა შინა.

და სად უნდა ევიძიო ამის მიზეზი?

თუ ვინმე დაკვირვებია დღევანდელს ჩვენი  
ხალხის ცხოვრებას, ჩვენი მოძღვრების ყოფას და  
ამათს ურთიერთობას შრეელისადმი, მაშინვე წამოი-  
ძახებს: აი, მიზეზო! დიახ, უპირველესი მიზეზი  
დღეს ხალხის გულგრილობისა ეკლესიისადმი, მხო-  
ლოთ ჩვენი მოძღვრების განუწყობლობა არის მრე-  
კლთან.

სიღნაღის მახრაში ს. ეე—ხე მოზრდის-შეგ-  
ნიერს სოფელს წარმოადგენს; მაგრამ, თელის მახ-  
რაში ამ სოფლისთანა ზნეობით დატყმული და გა-  
ლატაკებული მრევლი არ მოიპოვება. ახლა ენახათ,  
რა ღირსების მოძღვარი ჰყავს ამ სოფელს.

ვინაღაც დ. მ—შვილს ჰპართებია (?) კოდის  
პური. გადაეცალა მას ყმაწვილი და რადგანაც იცო-  
და, რომ, ვიდრე წინგასაძილოს სამს მანეთს წინა-  
თვე არ წარუდგენდა მოძღვარს, იმის თხოვნას ყუ-  
რადგებასაც არ მიაქცევდა, ამისათვის ახლანა მოძღ-  
ვარს და თხოვა, რომ „აი, ბატონო, თქვენი წინ-  
გასაძილო სამი მანეთი და მიცვალებული დასაფ-  
ლავეთო“. მოძღვარმა უარი უთხრა და იმ სამ მან-  
ნეთთან ერთათ ის ძველი გადასახადიც მოთხოვა,  
თუმცა, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, მ—შვილის მი-  
სი კოდის პური არ მართებია. რაკი მღვდელმა აღარ  
ინება მკვდრის გასვენება იმ მიზეზით, რომ, სანამ  
კოდის პურსაც ზედ არ დაამატებ, ფეხსაც არ მო-  
ვიცვლიო, მეტი რა ღონე იყო, მ—შვილმა თავის  
ანდრძმ აუგებელი მკვდარი წაიღო სასაფლაოზე  
და დაამარბა.

სწორით ამგვართვე მეორე გლესი კაციც იძუ-  
ლებული შეიქმნა თითონ დესაფლავებინა თავისი  
მიცვალებული.

უწინ იცოდენ და დღესაც ძლიერ პატივისცე-  
მითა და გულმოდგინებით მიღვეს ჩვენი გლეს-კა-  
ცობა იმ ჩვეულებას, რომ ყოველ შესაძენვე დღე-  
სასწაულებში აკურთხებიანებ ხოლმე მოძღვარს  
თავიანთ მიცვალებულის საფლავს და რითაც შე-  
ეძლებო, ისე უხალის ვალს თავის მოძღვარს. მამა ბ—მა  
ამ წეს-ჩვეულებასვე მოულო ბოლო და ერთხელ  
და სამუდამით გამოუხტადა ხალხს, რომ ვინც ვინ-  
დათ იყოთ, მდიდარი, თუ ღარიბი, ვიდრე თითო  
საფლავის საკურთხებლათ თითო აბაზს არ მომცემთ,  
მე არავის მიცვალებულის საფლავს არ ვაკურთხებ და  
სადაც ვინდათ, იქ ირევლეთო. ხალხი მეტათ უყმაყოფი-  
ლოთ შეიქნა. მოძღვარმა მიცვალებულის სულის  
მოსახსენებლათ ორ-კვირას უნდა უთიროს და ფასიც  
გარიგებაზეა დაკანონებული; მაგრამ ჩვენი მოძღვარს  
ეს დაკანონება კანონათ არ უჩიარია და ორ კვირას  
მთელ წლათ ჩათვლის და შეუკვეთთ, თუ არ შეუ-  
კვეთთ, ეს იმისთვის სულ ერთია, თქვენი კი წლის წირვა-  
ლოცვის ფასს მანაც გადაგახდენინებთ და ზოგჯერ  
წელიწადში ათჯერაც არ უწირავს. ამისი მსგავსი  
მავალითები მოძღვრების ანგარებინა ყოველგან ბე-  
რია.

ამას შემდეგ რა გასაკვირი იქნება, რომ გლეს-  
კაცსაც ყოველი პატივისცემა დაეკარგოს თავის მო-  
ძღვრისა და ეკლესია, სარწმუნოება, ღვთისმოყვარე-  
ობა დაივიწყოს? აი, სად არის ჩვენი სასულიერო  
წოდების გაგონის დაცემის მიზეზი და რაკი მწყემსი  
მგელს დაუმეგობრდება, მაშინ ხომ ცხოვარიც გაი-  
ზნევა.

# „კეალის“ ორი წლის ნაღვერი


## III

დასასრული \*)



არშან ე. ნინოშვილის საფლავზე „კეალის“ წარმომადგენელი პირველათ შეხედა ახალ გუნდს ჩვენი ქვეყნის მოღვაწეებისას, რო-

მელთაც თავის წარმოქმულ სიტყვებში, ცოტათ თუ ბევრათ, აღნიშნეს ახალი გზა-კვალი თავის მოქმედებისა. „კეალის“ რედაქცია სიამოვნებით მიეგება ასეთს ნიშნებს ჩვენის ახალთაობის მოძრაობისას და, რამდენათაც შესაძლებელი იყო, მოკლეთ გამოხატა პროგრამა მათი მოქმედებისა. ამ ახალ გუნდს ჩვენი ერის მუშაკებისას მან დაარქვა „მე-სამე დასი“. როგორც მკითხველმა იცის, ამ „მესამე დასმა“ და მასმა პროგრამამ მალე გამოიწვია ქართულს ლიტერატურაში ცხარე ბაასი. გამოჩნდნ მთელი წყება ისეთი მწერლებისა, რომელნიც წლოვანებით მართლაც ახალთაობას ეკუთვნოდნენ, ზოგ მათგანს ჯერ სწავლაც კი არ დაემთავრებინა და რადგან ახალგაზღვრების ხნიერება საკუთარ პრივილეგიათ მიიჩნიეს, ამისთვის ძალიან დიდ ყოყოჩით და ამაყოებით შემოაუტყეს „კეალის“ რედაქციას: ერ ბედაეს ჩვენი უფრო ახალგაზნდა თაობასო, ნუ თუ შესაძლებელია „ბებრების“ ახალგაზღვრებაო და სხე. და სხე. „კეალმა“ ამ უღროთ დამქნარს ყვირილებს მოახსენა მათი შესაფერი პასუხი და ცხადათ



გაუგებინა, რომ აქ ახალი გუნდობა წლოვანებაზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ მიმართულებაზე და მისწრაფებაზეო. ახალი მუშაკთა გუნდში. შესაძლებელია, მოხუცებულნიც ერიონ და უწლოვანო ახალგაზღვრებიცო. „მესამე დასი“ წლოვანებით კი

არ განსაზღვრავს თავის პროგრამის მოქმედებას, არამედ იდგით, პრინციპითა. აქ ახალი არის მხოლოდ გზა, აღნიშნული მოქმედებისათვის, და არა თვით მანვე მოსიარულე მუშაკნი, რომელთაც ახალი გაჭრილი სერელი (სეე) გააქეთ. ამ სერელში მოხუცებულთან ახალგაზდაც გვერდით დგას და ხშირათ ისიც მოხდება, როგორც თვით „ივერია“-მოამბის\* მაგალითი გვიჩვენებს, რომ ბრძოლაში გა-

მოცილილი მოხუცი მუშაკი ახალგაზდა გუნდს თავში უღდგეს და გზას იკვლევდეს. მართლაც აქ გასაკვირი რა უნდა ყოფილიყო? ცხოვრების პროგრესი, წარმატება, ყოველთვის თვითონ გაიკვალავს ხოლმე თავის გზას და ეინც ამ გზას მიყვება, სულ ერთია, მოხუცებული იყოს, თუ წლოვანებით ახალგაზდა, მაინც ამ ახალ გზაზე დგას და ახალი გუნ-


\*) იხ. „კეალი“ № 3



დიც ეწოდება, ოღონდ კი იმდენი ძალი გამოიჩინოს, რომ ახალ გზას გაჰყევს, იკელიოს, იბრძოლოს, გაიმარჯვოს, ქაცვითა და ეკლით მოზნეული ბილიკი გზა-ტყეცლიათ გახადოს; მაშინ მიუცილებლათ ახალი ცხოვრებაც მისკენ იზამს პირს. უკან ჩამორჩენილები, დაერდომილები, რომელთაც არც მხნეობა, არც გამბედაობა და არც ძალი მოადვთ, რომ მტრის ტყვიას პირდაპირ მკერდით შეხედონ,

ასეთი იყო ხასიათი წარსული წლის ცხარე კამათობისა „იეგრია“-„მოამბესა“ და „კვალს“ შორის.

რომ უფრო დაწერილობით და თეოსოპიანოთ გამოეარკვიოთ თავი-და-თავი მოსაზრება, რომელშიაც „იეგრია“-„მოამბე“ ებრძოდა, ეკამათებოდა „კვალს“, საქიროა, მოკლეთ გვიხსენოთ ის უმთავრესი საკითხები, რომელნიც ასე თუ ისე, დაყენებულნი იყვნენ „იეგრიაში“ და „მოამბეში“ წარსულს წელს. წინა სტატიებში (იხილეთ ამ წლის „კვალის“ № № 1, 3) ჩვენ უკვე ცხადათ გამოეთქვით ჩვენი პროგრამა შესახებ შკოლისა, ბანკისა და ეროვნული ურთიერთობისა და ამ პროგრამის არაფერის საერთო არაა აქვს ზემოხსენებულ ქართულ ეურნალ-გაზეთში გამოთქმულ მოსაზრებასთან. ახლა დაგვჩაჩა მხოლოდ ჩვენი უმთავრესი საკამათო საგანიც გამოეარკვიოთ. ვინ იტყვის, რომ ჩვენ ქართულ გამოცემებს გულწრფელი აზრი ჩვენი ერის სიკეთისა, კეთილ-დღეობისა, წარმატებისა არ უხელომძღვანელებდეს, მაგრამ საქმე იმაშია, ვის როგორ ესმის ეს ჩვენი საქიბრობოტო, სანუკარი და საეკლალო ქართველი ერი და მისი წარმატება? ყოველს ჩვენ ქართულს გამოცემათაგანს საგნათ აუღია ამ ჩვენი გათახსიროებული საქართველოს ერის ბედისწერა, იმის საბედნიეროთ ცდილობს, უნდა მის იარებს რაიმე განსაკუთრებული წამალი დაადვას, მაგრამ თითოეული მათგანი სული სხეულ-და-სხეულ ბარკის წამლებს ულესავს. თვითონ თავის თავი მიაჩნია მხოლოდ ჯანიოზ ექიმათ და სხვას კი აძაგებს, სახელს უტყვის.



ექვი არ არის, ბეგრს იყვირებენ; იქნება ამათ უკანონოდანაც ავემონ გახურებული ტყვია წინმსვლელებს. მაგრამ მხნე მებრძოლი არც წინიდან გამოტყობოცოლოს ფინთისს შეუშინდება და არც უკანიდან დადევნებულს ტყვიას. ის მაინც წინ მიდის, არღვევს ტალღებს აგორებულს ზღვაში მანამდის, სანამ ბედისწერა არ მოუღებს ბოლოს უშინაზის მებრძოლს.

შესაძლებელია, ეს მას თავის ერის გულწრფელი სიყვარულითაც მოუღიოდვს, მაგრამ განა არ გინახავთ, რომ უგნურს დედას თავის ავითყვიო შეილის განსაკუთრებლათ საწამალი მიეცეს და მოეკლას? ასეთია ჩვენი ქართული ეურნალ-გაზეთების საქმეც. ყოველი მათგანი თავისას გათახსის, ყოველ მათგანს მოუპოვებია თავისი დასი მკითხველებისა,



რომელიც მართლაც თავისი საყვარელი ყურნა-ლის, ან ვახუშტის მხედველობით ხელდას, მისი გონებით სავსე, მისივე ერთ უპატიურათ ისხედეს სხვა მოწინააღმდეგე ყურნალოს, ან ვახუშტის მოღვაწეობას. მაშასადამე აქ ქართულ გამოცემებთან ერთათ დაარსებულან კიდევ სხვა-და-სხვა მკითხველების დასებიცა. თუ ვნებათ, აქ პარტიულ ბრძოლას ისეთივე ნიადაგი მოუპოვებია, როგორც ევროპაშია. როგორც ევროპაში, აქაც მკითხველები ერთდებიან იმ ვახუშტის და ქურნალის კითხვას, რომელიც ეწინააღმდეგება მათი საყვარლის ყურნალის, ან ვახუშტის მოსაზრებას; მაგრამ, ჩვენდასაზღვრებლად, უმთავრესი ნაწილი ჩვენის ერისა ამ მებრძოლ დასებში არ ჩაერეულა და ყველას აზრებს და საქამათობას უპარტოთ, მიუღწერებლად ისმენს; მას იმდენათ მკვირცხლი გონება და მოსაზრება აქვს, რომ მაშინვე შეიტყუებს ჭეშმარიტებას სად უყავუნებს, რომელიც ტყუის და რომელი უფრო სწორა ვხას ადგია. რაკი ასეთი ნიადაგი აქვს ჩვენს გონებით მხენულ მთესველებს, მამ რილას უნდა გვეფიქრებოდეს. დაე, თითოეულმა ჩვენმა ქართულმა გამოცემებმა გარემოებისა და ღონის მიხედვით გამოაჩინოს თავისი მიმართულება, პროგრამა და წადილები. დასთა ვარგუნე მღვანე მერა გულწრფელათ ვაჩრჩენს და, აღრე თუ გვიან, ჭეშმარიტების მქადაგებელს მივმხრობა. მაშასადამე დასებთან ბრძოლა ჩვენ ამა, რათ უნდა გვაშინებდეს... ვისაც ვრი მივმხრობა საესებით, ბურთი და მოედანი, აღრე თუ გვიან, იმას დარჩება.

მეთომხოვრ წლებში განან ჩვენში ერთი პაწია დასი განათლებული თაობისა, რომელმაც დაარსა თავისი საკუთარი გამოცემა „იმედი“ და აღიარა, რომ საქართველოს ხსნა გლეხკაცობიდან უნდა წარმოადგესო. იმან იცოა მხოლოთ გაუნათლებული გლეხკაცობა ერთ და რწამდა, რომ მხოლოთ ამ გაუნათლებელი გლეხკაცობის საშობად უნდა წარმოადგესო განებებრი მოძრაობა, რომელიც უნდა შეიძაგროს საქართველოს ერთო. ეს დასი ქადაგებდა მხოლოთ გლეხკაცობაში მოქმედებას, მას ის მიანდა მხოლოთ ერთ და ვარგე გლეხკაცობისა მას არ რწამდა არაფერი. ამ სახით დაარსდა რუსეთის მიზამეით ჩვენშიაც ესრეთ წოდებული **народник**-ობის დასი, ან როგორც „კვალში“ უწოდებან ბუნომელებო „დასი ტეტიაობის მოტრფილიეთა“. მაგრამ გამოჩნდა, რომ ამ ცალკერამა მიმართულებამ ვერ მოიპოვა თანაგრძნობა საქართველოს ერისა და მალე დაკარგა ნიადაგი მოქმედებისა. ის დანიტა ცხოვრების ახალ მიმართულების მოარგეში და ზოგიერთ გადარჩენილთა მალე შეაფარეს

